Summer Science Academy 2013

საზაფხულო სამეცნიერო აკადემია 2013

ზოგადი ინფორმაცია: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი და თსუ „საბავშვო უნივერსიტეტი“ „საზაფხულო სამეცნიერო აკადემიას“ ატარებს, რომელიც ამჯერად 2013 წლის 17 - 22 ივნისს გაიმართება. აკადემიაში 7–12 კლასების მოსწავლეები მიიღებენ მონაწილეობას.

მიზანი: საზაფხულო სამეცნიერო აკადემია ემსახურება მიზანს გააცნოს სკოლის მოსწავლეებს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ინტერდისციპლინური, ფუნდამენტური და გამოყენებითი ასპექტები; ადრეულ ასაკში შეუწყოს ხელი მოსწავლეთა სამომავლო ინტერესების გაღვივებას და პრობლემების გადამწყვეტი, შედეგზე ორიენტირებული, სხარტი თაობის მოზიდვას უნივერსიტეტში.

პროგრამა: აკადემიის ფარგლებში სემინარ/მოხსენებებს მეცნიერები და სტუდენტები წარმართავენ. მოსწავლეთა ჯგუფებს შორის მოხდება ზოგიერთი აქტუალური საკითხის განხილვა, რაც დისკუსიას და გამოცდილების გაზიარებას შეუწყობს ხელს. დამატებით განსაზღვრულია ექსპერიმენტზე დაკვირვება, პროექტზე მუშაობა, პრობლემური ამოცანების გადაწყვეტა და სხვა. აქტიური მოსწავლეები სერტიფიკატებით დაჯილდოვდებიან.

სამუშაო ენა ქართულია, ზოგიერთი სემინარი უცხო ენაზე (ინგლისური, გერმანული) შეიძლება წარიმართოს და/ან სინქრონული თარგმნით იქნას მიწოდებული.

საზაფხულო სამეცნიერო სკოლის თარიღები: 17.06.2013– 22.06.2013

სამუშაო საათები: 9:00 – 14:00; ზოგიერთი ღონისძიების შემთხვევაში 9:00 – 16:00.

უზრუნველყოფა: მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან საზაფხულო სამეცნიერო აკადემიის პროგრამით. ზოგიერთ ღონისძიებაში მონაწილე მოსწავლეების რაოდენობა შეზღუდულია და ექვემდებარება 17 ივნისს დამატებითი რეგისტრაცის გავლას.

ადგილმდებარეობა: აკადემია გაიმართება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I, II და XI კორპუსებში. დეტალურ ინფორმაციას მონაწილე მოსწავლეები დამატებით მიიღებენ.

მოსწავლეთა მიღება ელექტრონული რეგისტრაციით და სააპლიკაციო საბუთებით მოხდება. ელექტრონული რეგისტრაციის გავლის შემდეგ შევსებული და ხელმოწერილი განაცხადის ფორმა და სამოტივაციო წერილი 2013 წლის 28 და 29 მაისს მიიღება შემდეგ მისამართზე: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევების სამსახური; ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ); თსუ XI კორპუსი, ოთახი 303, უნივერსიტეტის ქ. 3, თბილისი, საკონტაქტო პირი ხათუნა კახიანი.

აპლიკაციისათვის საჭირო ჩამონათვალი:

- ელექტრონული რეგისტრაცია (2013 წლის 1 მაისიდან 24 მაისამდე)
- შევსებული განაცხადის ფორმა (წარდგენა: 2013 წლის 28 და 29 მაისს)
- მოსწავლის მიერ დაწერილი სამოტივაციო წერილი/თხზულება (წარდგენა: 2013 წლის 28 და 29 მაისს)

საზაფხულო სამეცნიერო აკადემიაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაციას მოსწავლეები ელექტრონულად **2013 წლის 1 ივნისს** მიიღებენ.

მოხარული ვიქნებით დაინტერესებული სკოლის მოსწავლეების გამოხმაურებით !

მოსწავლის განაცხადის ფორმა 2013

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„საზაფხულო სამეცნიერო აკადემია“

“საბავშვო უნივერსიტეტი”

აპლიკაციის წარდგენის ვადები: 2013 წლის 28 და 29 მაისი

მოსწავლის სახელი და გვარი: ----------

სახლის მისამართი: ----------

ქალაქი, საფოსტო კოდი: ----------

დაბადების თარიღი (დღე/თვე/წელი): ----------

სკოლის დასახელება სადაც მოსწავლე ამჟამად სწავლობს: ----------

---

კლასი: ----------

ჩამოთვალეთ ღონიძიებები და/ან პროექტები (საზაფხულო სკოლა, კონკურსი, საგნობრივი ოლიმპიადა და ა. შ.), რომელშიც მოსწავლემ 2012–2013 აკადემიურ წელს მიიღო მონაწილეობა (ჩამოთვალეთ ჯილდოები, გამოიყენეთ დამატებითი ფურცელი თუ ეს საჭიროა):

ინფორმაცია მშობლების (მეურვეების) შესახებ:

მშობლის ან მეურვის სახელი და გვარი: ----------

დღის განმავლობაში საკონტაქტო ტელეფონის ნომერი:----------

სახლის ტელეფონის ნომერი: ----------

მობილური ტელეფონის ნომერი: ----------

ელექტრონული ფოსტა: ----------

მშობლის ხელმოწერა: ----------

თარიღი: ----------

** განაცხადის ფორმას თან უნდა დაერთოს მოსწავლის მიერ დაწერილი სამოტივაციო წერილი/ თხზულება. თხზულება უნდა მოიცავდეს არაუმეტეს 250 სიტყვას. მოსწავლემ უნდა მიუთითოს თუ რატომ დაინტერესდა იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საზაფხულო სამეცნიერო აკადემიით, რა გამოცდილების მიღებს იმედი აქვს და რა როლს შეასრულებს აკადემია მის მომავალში. თხზულების დასაწყისში აუცილებლად უნდა იქნას მითითებული მოსწავლის სახელი და გვარი, კლასი და სკოლა.

გელით უნივერსიტეტში ☺